

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #51

ქ. თბილისი

2024 წელი, 12 ივლისი, 13:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: მამუკა გუგუშაშვილი, ლილე ლიპარტელიანი, საბა ბუაძე, ნინო წულაძე, ზაზა თავაძე, შოთა გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე

დავით ჩანჭელიანი - შპს "თბილსერვის ჯგუფი" - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტი - დეპარტამენტის უფროსი

ქვარა ჩართოლანი - ააიპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე

ოთარ ჩიტბე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	საკითხის დასახელება
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032419312-03-11.07.2024)
2.	შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით

	პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032418532-03 03.07.2024)
3.	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-032419160-03- 09.07.2024)
4.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032418645-03 04.07.2024)
5.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა №98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.72.14.300.001, ფართობი - 7 321 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის №267 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032416681-03 14.06.2024)
6.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, II და III მიკრო/რაიონს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.641, ფართობი - 4 976 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032416685-03 14.06.2024)
7.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.19.39.014.047, ფართობი - 887 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032416691-03 14.06.2024)
8.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №156-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.12.12.008.034, ფართობი - 973 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0324184122-03 02.07.2024)
9.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა N53- ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი:

	N01.11.17.027.014, ფართობი - 1 231 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №16-032418533-03 03.07.2024)
10.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს №12-032419227-03-10.07.2024)
11.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N73-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.070, ფართობი - 3342 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე" ((საკრებულოს №12-032419226-03- 10.07.2024)
12.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032418492-03 02.07.2024 (№12-0324184152-03 02.07.2024)); №12-032418493-03 02.07.2024; ; №12-032418480-03 02.07.2024; №12-032417018-03 18.06.2024; №12-0324166232-03 14.06.2024; №12-032416690-03 14.06.2024; 12-03241922-03-10.07.2024; 12-0322187132-03 - 06.07.2022 (გადადებული „დ“ პოზიცია); №12-032416684-03 14.06.2024 (სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე ცვლილება); 12-032419236-03- 10.07.2024 (ვარკეთილის მასივის არეალზე ცვლილება))
13.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032416683-03 14.06.2024; 12-032419237-03- 10.07.2024)
14.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032416688-03 14.06.2024)
15.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.18.678; №81.02.18.632; №81.02.18.295; №81.02.18.688; №81.02.18.088) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0324166212-03 14.06.2024)

16.	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.952; №72.16.21.076; №72.16.21.789; №01.72.16.094.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032418484-03 02.07.2024)
17.	„ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის №64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: № 01.12.01.005.129-ის ნაწილზე; № 01.12.01.005.051; № 01.12.01.005.091; ნაკვეთი: № 5/50, № 5/51, № 005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032416682-03 14.06.2024)
18.	„ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.01.004.314; №01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის №60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032416689-03 14.06.2024)
19.	ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032418489-03 02.07.2024)
20.	„ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N163 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032418535-03 03.07.2024)
21.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.33.061; №01.81.02.294.008-ის ნაწილი; №81.02.02.649; №81.02.02.729; №81.02.02.730; №01.81.02.344.002) ინდივიდუალური

	ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032416680-03 14.06.2024)
22.	ქალაქ თბილისში, ფონიკალას დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.13.020.056; №01.18.13.020.059) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032416686-03 14.06.2024)
23.	ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №160; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, ტაბახმელას ველის ქუჩა, №2; ქალაქი თბილისი, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.28.087; №81.02.28.089; №81.02.28.090; №81.02.28.088; №81.02.28.153; №81.02.28.071; №81.02.28.070; №81.02.28.024; №81.02.03.628; №81.02.03.629; №81.02.28.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0324166211-03 14.06.2024)
24.	ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VI შესახვევი №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.107) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032417046-03 18.06.2024)
25.	ქალაქ ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.16.104.010-ის ნაწილი; №72.16.17.881; №72.16.17.882; №72.16.17.883; №72.16.17.886; №72.16.17.887) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032418481-03 02.07.2024)
26.	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.576; №01.72.16.104.015-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032418482-03 02.07.2024)
27.	ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, არსენას ქუჩა №10ა-ში; ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.007.062; №01.20.01.007.056; №01.20.01.007.086; №01.20.01.007.061; №01.20.01.007.043; №01.20.01.143.013-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების

	რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032418483-03 02.07.2024)
28.	„ქალაქ თბილისში, ქუჩა ტრიკოტაჟი, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ.ნინუა, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.001.197, N01.12.12.001.412, N01.12.12.001.208, N01.12.12.001.218, N01.12.12.001.409) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032419222-03-10.07.2024)
29.	ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, შავნაბადას ქუჩა, N67, N59, N65, N63, N61, N57; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, მუხრან-თელეთის ქუჩა, N48, N46, N44, N42, N38, N 40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.05.466; N81.02.05.441; N81.02.05.733; N81.02.93.269; N81.02.99.961; N81.02.05.483; N81.02.05.531; N81.02.05.539; N81.02.05.759; N81.02.39.032; N81.02.99.597; N81.02.99.596) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032419228-03 -10.07.2024)
30.	„ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა, N113-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.009.005; N01.18.09.009.006) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032419229-03-10.07.2024)
31.	„ქალაქ თბილისში, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N14ბ, N12ბ, N14, N16-ში; ქალაქი თბილისი, გორგასლის II შესახვევი, N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.020; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N447 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032419238-03 - 10.07.2024)
32.	ქალაქ თბილისში, სოფელი კიკეთი, გიორგი შატერაშვილის ქუჩა, N3; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, გიორგი შატერაშვილის ქუჩა, N 2-21-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.01.01.890, N81.01.01.337) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032419247-03 -10.07.2024)
33.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.18.079; N81.02.18.795; N81.02.18.786; N81.02.18.787; N81.02.18.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი

	სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032419246-03 - 10.07.2024)
34.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.06.614; N81.02.06.613; N81.02.06.608) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032419223-03 - 10.07.2024)
35.	ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა/გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 1ა, N1ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.137; N01.18.06.019.062; N01.18.06.019.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032419225-03-10.07.2024)
36.	ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032419245-03 - 10.07.2024)
37.	'ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ. №8, №17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ. №7, №7ა, №9, №22, №24, №26, №28, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის №164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032419259-03 - 10.07.2024)
38.	მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032419273-03 - 10.07.2024)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (საკრებულოს №12-032419312-03-11.07.2024)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით (N980 10.07.2024წ) გამოყოფილი სახსრების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილის (N04-03/49759 28.06.2024წ) გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ნაწილში იზრდება ქონების გადასახადი - 20 000,0 ათასი ლარით და დამატებული ღირებულების გადასახადი - 10 000,0 ათასი ლარით, გრანტების ნაწილში იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 73,0 ათასი ლარით (ევროკავშირის საგრანტო ხელშეკრულების „ევროკავშირის გარე მოქმედებები“ ENI/2017/394-803 პირობების შესაბამისად საბოლოო ანგარიშსწორება) და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები) - 12 000,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 300,0 ათასი ლარით და სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 5 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 1 083,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 48 456,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 058 335,6 ათას ლარს ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 300,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 1 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 700,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 1 250,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 1 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის (კოდი 01 02 05) - 4 400,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 380,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 1 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 1 200,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 850,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 250,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 250,0 ათასი ლარით,

კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 5 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 2 000,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 73,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 700,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 800,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 900,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 500,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 200,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) - 40,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 50,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 300,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 220,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 110,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 100,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 200,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - 650,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 300,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები - 350,0 ათასი ლარით, სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 3 000,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა: სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა (კოდი 06 01 09) - 83,0 ათასი ლარის ოდენობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 858 300,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 787 117,7 გადასახადები 948 661,8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 245 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი

(გარდა მიწისა) – 30 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 653 661,8 ათასი ლარი. გრანტები 520 982,9 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 538,3 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444,6 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 500 000,0 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები (კაპიტალური ტრანსფერი) - 12 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 8 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 317 473,0 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 14 840,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 115 000,0 ათასი ლარი სანებართვო მოსაკრებელი - 18 194,8 ათასი ლარი სხვადასხვა შემოსავლები – 24 438,2 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 058 335,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 549 266,4 ათასი ლარი; რაფინანსური აქტივების ზრდა – 474 030,3 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 35 038,9 ათასი ლარი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 237 851,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 402 947,3 ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 200 134,9 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 200 034,9 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (35 038,9) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 35 038,9 ათასი ლარი ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (165 096,0) ათასი ლარით.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ. 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032418532-03 03.07.2024)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოაგილე მარიამ კვერნაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებულ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2023 წლის 26 დეკემბრის №19 ოქმის, „შპს „ათორის“ (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 871 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

№01.10.10.007.061 და სიტუაციური ნახაზის შესაბამისად) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის №23.2154.2403 განკარგულების და „შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.007.061 და სიტუაციური ნახაზის შესაბამისად) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №643 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.tbilisi.gov.ge) 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 09 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა „შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს.კ: №01.10.10.007.061, №01.10.10.007.077 და №01.10.10.007.051) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე“ (შემდგომში: ინტერესთა გამოხატვა). ინტერესთა გამოხატვის საგანს წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. №36-ში და მის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 16 871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთებზე (შემდგომში: საპრივატიზებო ქონება) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და პარკის მშენებლობის განხორციელება და განხორციელებული მშენებლობის ფარგლებში აშენებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან უპირატესად შპს „ათორის“ (ს/ნ: 405077633) მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული შესაბამისი პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმს წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებული ქონების მიმღები პირებისათვის საკუთრებაში გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების (შემდგომში: გადასაცემი ფართები) ჯამური ფართობის ყველაზე დიდი ოდენობის შეთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს 8000 (რვა ათასი) კვ.მ.-ზე ნაკლები. სააგენტოს 2024 წლის 19 თებერვლის №61-01240501349 კორესპონდენციის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ 405193678, შემდგომში: კომპანია), რომლის მიერ შეთავაზებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობი (აივნის ფართების გათვალისწინების გარეშე) შეადგენს 8050 (რვა ათას ორმოცდაათი) კვ.მ-ს. ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად, კომპანიამ სააგენტოში წარმოადგინა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (შემდგომში: საბანკო გარანტია) 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის მიერ შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებას და ინტერესთა გამოხატვის პირობებითა და ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერესთა გამოხატვის შედეგების საფუძველზე, იგეგმება კომპანიასთან შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების

შესრულების პირობით, საპრივატიზებო ქონების კომპანიის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. საპრივატიზებო ქონებას (ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების ეტაპზე არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთების გამოჯენა-გაერთიანების შედეგად) წარმოადგენს შემდეგი მიწის ნაკვეთები: ს/კ: 01.10.10.007.061 – 15229 კვ.მ. ს/კ: 01.10.10.007.080 – 1457 კვ.მ. ს/კ: 01.10.10.007.081 – 185 კვ.მ. საპრივატიზებო ქონების განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (შემდგომში: კ2 კოეფიციენტი) ჯამური საანგარიშო ფართობი შეადგენს არაუმეტეს 46 000 (ორმოცდაექვსი ათასი) კვ.მ.-ს (შემდგომში: განაშენიანების სრული ფართი), ხოლო შესაბამისი კ2 კოეფიციენტის მაჩვენებელი განისაზღვრება განაშენიანების რეგულირების გეგმით. საპრივატიზებო ქონებიდან სულ მცირე 3500 (სამი ათას ხუთასი) კვ.მ. ფართობის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს კონცენტრირებული და საჯარო სარეკრეაციო სივრცე - პარკი (შემდგომში: პარკი), რომლის მდებარეობა და კონფიგურაცია განისაზღვრება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. პარკის მიერ ათვისებული მიწის ნაკვეთის შესაბამისი ნაწილი არ ჩათვლება სამშენებლო კოეფიციენტების ანგარიშში. საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება სიმბოლური 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო გადასაცემი ფართობის ფართობი, ინტერესთა გამოხატვის შედეგების გათვალისწინებით, განისაზღვრება 8850 (რვა ათას ორმოცდაათი) კვ.მ.-ის ოდენობით. ამასთან, თითოეული ინდივიდუალური გადასაცემი ფართის (ბინის) აივნის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ბინის ფართის 15%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აივნის დამატებითი ფართი ქონების მიმღებ შესაბამის პირს გადაეცემა გადასაცემ ფართზე დამატებით, უსასყიდლოდ. პროექტის ფარგლებში გადასაცემი ფართების გადაცემა უნდა განხორციელდეს ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. გადასაცემი ფართები თავდაპირველ დარეგისტრირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ხოლო შემდგომ, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია აღნიშნული ფართები გადასცეს სხვა პირებს - უპირატესად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის მიერ განსაზღვრულ, შპს „ათორის მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ შესაბამის პირებს. პროექტის განხორციელების ვადები შემდეგია: განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება - ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვე; გადასაცემი ფართის არანაკლებ 50%-ის შესაბამისი შენობების (პირველი ლოტი) მშენებლობის ნებართვის მოპოვება - გრგ-ის დამტკიცებიდან 3 თვე (არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვე); დარჩენილი გადასაცემი ფართის შესაბამისი შენობების (მეორე ლოტი) და პარკის ნებართვების მოპოვება - გრგ-ის დამტკიცებიდან 11 თვე (არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 თვე); გადასაცემ ფართებზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია - შესაბამისი (თითოეული) შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე; გადასაცემი ფართის არანაკლებ 50%-ის შესაბამისი შენობების (პირველი ლოტი) მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება - პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 32 თვე (არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 44 თვე); დარჩენილი გადმოსაცემი ფართის შესაბამისი შენობების (მეორე ლოტი) მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება - მეორე ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 48 თვე (არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 თვე); პარკის მშენებლობის დასრულება - მეორე ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 51 თვე (არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 63 თვე); პარკის შესაბამისი მიწის ნაკვეთის ცალკე საკადასტრო ერთეულად დარეგისტრირება და მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა - პარკის დასრულებიდან 2 თვე. კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პარალელურად, შესაძლებელია საბანკო გარანტიის ეტაპობრივად შემცირება: 20% დაბრუნდება - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შემდეგ; 20% დაბრუნდება - პირველი ლოტის ფართებზე მუნიციპალიტეტის

საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ; 15% დაბრუნდება - მეორე ლოტის ფართებზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ; 10% დაბრუნდება - პირველი ლოტის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ; 10% დაბრუნდება - მეორე ლოტის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ; 10% დაბრუნდება - პირველი ლოტის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულების შემდეგ; 5% დაბრუნდება - მეორე ლოტის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულების შემდეგ; 10% დაბრუნდება - ორივე ლოტის შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღებისა და მშენებლობადასრულებული პარკის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის შემდეგ, კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პარალელურად, ასევე შესაძლებელია საპრივატიზებო ქონებაზე წარმოქმნილი ინდივიდუალური ფართების (გადასაცემი ფართების გამოკლებით) ეტაპობრივად გათავისუფლება საპრივატიზებო ქონებაზე რეგისტრირებული საპრივატიზებო ვალდებულებებისაგან: პირველი ლოტით გათვალისწინებული თითოეული შენობა-ნაგებობის ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის 40%-ზე - პირველი ლოტის ფართებზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო სხვა ნებისმიერი შენობა-ნაგებობის ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის არაუმეტეს 40%-ზე - მეორე ლოტის ფართებზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ; პირველი ლოტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის დარჩენილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის არაუმეტეს 60%-ზე - პირველი ლოტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, ხოლო სხვა ნებისმიერი შენობა-ნაგებობის დარჩენილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის არაუმეტეს 60%-ზე - მეორე ლოტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ; პირველი ლოტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის დარჩენილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის არაუმეტეს 30%-ზე - პირველი ლოტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ხოლო სხვა ნებისმიერი შენობა-ნაგებობის დარჩენილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის არაუმეტეს 30%-ზე - მეორე ლოტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულების შემდეგ; პირველი ლოტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის დარჩენილი ინდივიდუალური ფართებზე - პირველი ლოტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღებისა და ქონების მიმღები პირ(ებ)ისათვის პირველი ლოტის ფართების თეთრი კარკასის მდგომარეობით ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, ხოლო სხვა ნებისმიერი შენობა-ნაგებობის დარჩენილი ინდივიდუალური ფართებზე - მეორე ლოტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღებისა და ქონების მიმღები პირებისათვის მეორე ლოტის ფართების თეთრი კარკასის მდგომარეობით ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდეხით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ 405193678) განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით საკუთრებაში გადაცემა და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის შეთანხმება, „შპს „ათორის“ (ს/ნ 405077633) და მასთან

აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა №36-ში და მის მიმდებარედ, №01.10.10.007.061, №01.10.10.007.080 და №01.10.10.007.081 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯამურად 16871 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნ.გ.ბ.“-ისათვის (ს/ნ 405193678), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის №24.1125.1287 განკარგულების დანართის შესაბამისად.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-032419160-03- 09.07.2024)

საკითხი წარმოადგინა შპს "თბილსერვის ჯგუფი" - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტი - დეპარტამენტის უფროსმა დავით ჩანქელიანმა. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, კომისიასმ მიაჩნია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სამართლებრივად გამართულია შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივ აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. ამავე კოდექსის 68-ე მუხლის პირველი პუნქტით „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თბილისის მთავრობისთვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემა. ამავე კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის წებართვით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით, კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულება იურიდიული პირისგან. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს, ხოლო თბილისის მიერ სესხის აღების შემთხვევაში აღებული სესხის საერთო მოცულობიდან ყოველწლიურად დასაფარავი სესხის მომსახურების (ძირითადი თანხა და პროცენტი) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს თბილისის წლიური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების 5 პროცენტს.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება დაუშვებელია.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032418645-03 04.07.2024)

საკითხი წარმოადგინა ააიპ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში“ (შემდგომში წესი) აუცილებელია ცვლილების და დამატების შეტანა, რაც განპირობებულია შესაბამისი პროგრამის განხორციელებისას გამოვლენილი საჭიროებით. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ იპოთეკარი ახალ შენობაში უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლებით ეწევა გარკვეულ რისკს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი პროექტის განმახორციელებლისთვის იპოთეკარის მოთხოვნის გამოსყიდვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნით ახდენს მის მინიმოზიანებას, აუცილებელია მოთხოვნის დათმობის პროცედურის დახვეწა იმგვარად, რომ ახალი შენობის ექსპლუატაციაში მიღებამდეც სააღსრულებო წარმოების დაწყება შემდგომში ქმნიდეს იპოთეკარისთვის მუნიციპალიტეტის მიერ გაცხადებული გარანტიით სარგებლობის ეფექტიან საშუალებას. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების ანგარიშსწორება ხდება შერეული ფორმით (ფულით და ნატურით), ასაშენებელი ფართებით ანგარიშსწორების დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით განხორციელება აფერხებს პროექტში მონაწილეობის მსურველებს, წარმოადგინონ კონკურენტული წინადადებები. რაც შეეხება ნატურით ანგარიშსწორებისას უძრავი ქონების დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე გაანგარიშების საკითხის მიმართ უკუქცევითი ძალის გავრცელებას, აღნიშნული განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემის საშუალებით 2024 წლის 03 აპრილს გამოცხადებული GEO240000157 შესყიდვის ელექტრონული პროცედურით, რომელიც საპილოტე რეჟიმში წარიმართა იმგვარად, რომ საანგარიშსწორებო ვალდებულებაში არ იქნა გათვალისწინებული უძრავი ქონების ფასისთვის მისაკუთვნილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი. შესყიდვის ამ ფორმით გამოცხადება საფუძვლად დაედო 2 (ორი) პრეტენდენტის მონაწილეობას შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში, მაშინ როდესაც იდენტურ შესყიდვის საგანზე აღნიშნული პირობის გარეშე 2024 წლის 30 იანვარს გამოცხადებული GEO240000023 და ამავე წლის 6 მარტს გამოცხადებული GEO240000088 შესყიდვის ელექტრონული პროცედურები არ შედგა მონაწილეთა არ არსებობის გამო და რაც საბოლოო ჯამში მიანიშნებს მსგავს შესყიდვებში კონკურენციის გაუმჯობესების ტენდენციას. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, დაარეგულიროს და სამართლებრივად მოაწესრიგოს

ავარიული სახლის ჩანაცვლებისას, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის დასრულებიდან 6 თვეში ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიუღებლობის შემთხვევაში, ასევე დაინტერესებული პირისათვის ახალი ფართის გადაცემის ვადის ან პირობების დარღვევის შემთხვევაში არსებული პერიოდის განმავლობაში იპოთეკარის უფლებები. მოქმედი ნორმა აწესებს გარკვეულ ვადას, ერთგვარ შეზღუდვას, რა დროის გასვლის მერეც აქვს იპოთეკარს არსებული საკრედიტო დავალიანების გამოთხოვის გადაწყვეტილების მიღების უფლება, რაც გარკვეულ წინაღობას ქმნის ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებისას იპოთეკის უფლებით დატვირთული ბინების დემონტაჟის თაობაზე იპოთეკარის თანხმობის მიღებისას. აღნიშნულ პუნქტში შესატანი ცვლილება წარმოადგენს იპოთეკარის უფლებების ერთგვარ დაზღვევას, რათა არ გაქიანურდეს სააღსრულებო მოქმედებები და ზიანი არ მიაღვეს მისი მოთხოვნის რეალიზების უფლებას. ნატურით ანგარიშსწორებისას, გადახდის ვალდებულების დამატებითი ღირებულების გარეშე გაანგარიშება ქმნის შესაძლებლობას მიმდინარე პროექტებით დაინტერესდეს არაერთი პოტენციური მიმწოდებელი, რაც უზრუნველყოფს კონკურენციის, როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გაცხადებული ერთ-ერთი პრინციპის, ხარისხის გაუმჯობესებას. წესის მე-16 მუხლში შედის ცვლილება და განსხვავებულად ყალიბდება პირველი პუნქტი: ავარიული სახლის ჩანაცვლებისას, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის დასრულებიდან 6 თვეში ახალი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიუღებლობის შემთხვევაში, ასევე დაინტერესებული პირისათვის ახალი ფართის გადაცემის ვადის ან პირობების დარღვევის შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელი ვალდებული იქნება არაუგვიანეს იპოთეკარის მიმართვიდან 90 კალენდარული დღის ვადაში გამოისყიდოს კლიენტების მიმართ აღსრულების ქვემდებარე აქტით დადასტურებული იპოთეკარის მოთხოვნა, თუ იპოთეკარი მიიღებს ან/და ზემოაღნიშნული წინაპირობების დადგომამდე უკვე მიღებული აქვს არსებული საკრედიტო დავალიანების გამოთხოვის გადაწყვეტილება და ამ მიზნით აიღებს/მოიპოვებს ან/და აღებული/მოპოვებული აქვს აღსრულების ქვემდებარე აქტი (სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი ან ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი). შემოთავაზებული ცვლილებით იპოთეკარს შეეძლება დროულად მოახდინოს რეაგირება მის წინაშე დარღვეულ სასესხო დავალიანებაზე სააღსრულებო ფურცლის გამოწერისა და მიღების თვალსაზრისით, რამდენადაც, ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების დროულად დაუსრულებლობის შემთხვევაში იგი შეინარჩუნებს წესით გარანტირებულ მოთხოვნის გამოსყიდვის საშუალებას. შემოთავაზებული რედაქციით შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დამატებული ღირებულების გათვალისწინებით დადგინდება, ხოლო ნატურით საანგარიშსწორებო თანხის გაანგარიშება და გადახდა მოხდება სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით ან ბაზრის კვლევის შედეგად შემოთავაზებული ერთი კვ. მ. ფართობის ღირებულების (თუ იგი აჭარბებს ამავე დასკვნით დადგენილ თანხას) მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ზ) ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N142ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.012.097) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. N01.19.36.012.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის საშუენებლოდ გამოყენება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად N01.19.36.012.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 27 ივნისის N01241792303 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.19.36.012.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.36.012.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე შიდაკვარტალური შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონირი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N142ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.19.36.012.097; N01.19.36.012.040) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღება;

თ) ქალაქ თბილისში, ბუხაიძის ქუჩა N52-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.056.010) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. N01.16.06.056.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო მონაცემების დაზუსტება/ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 29 მაისის N01241503382 წერილის მიხედვით განსახილველ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობების ნაწილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილება - სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტ-1) გაუქმება - მიზანშეწონილია ნაწილობრივ. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის 2024 წლის 17 ივნისის N60-012416971 წერილით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N22 13.06.2024წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ბუხაიძის ქუჩა N52-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.056.010) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხს, შემდგომში სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო მონაცემების დაზუსტება/ ცვლილების მიზნით მიეცა დადებითი შეფასება მხოლოდ შენობის კონტურზე, ნაშვერის გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბუხაიძის ქუჩა N52-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.056.010) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია (ნაწილობრივ).

№12-0322187132-03 - 06.07.2022 (გადადებული „დ“ პოზიცია);

კომისიამ ხელახლა განიხილა 2022 წლის 11 ივლისის (#14 კომისიის სხდომის ოქმი) და 2023 წლის 20 ნოემბრის (კომისიის სხდომის ოქმი #39) სხდომებზე გადადებული ფუნქციური ზონის ცვლილება. დ) ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N253-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.12.003.396) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით(სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხნა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის N3/7740-20 გადაწყვეტილებით თამარ ბარნოვის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის N20.1311.1618 განკარგულება იმ ნაწილში, რომლითაც თამარ ბარნოვს უარი ეთქვა მის საკუთრებაში არსებული (2600 კვ.მ. ს.კ. 01.72.12.003.396) მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის ცვლილებაზე და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე, არსებული მიწის ნაკვეთისთვის საცხოვრებელი ზონა 2-ის სტატუსის მინიჭებაზე. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ის ნაწილი, რომლითაც თამარ ბარნოვის საკუთრებაში არსებულ (2600 კვ.მ. ს.კ. N01.72.12.003.396) ნაკვეთს ფუნქციური ზონად განესაზღვრა სარეკრეაციო ზონა 1-ის სტატუსი, ბათილად ცნობილ ნაწილში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 ნოემბრის N3/ ბ-1982-21 განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 ივნისის განჩინებით (საქმე Nზს-116(3კ-22)) საკასაციო საჩივრები დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 ნოემბრის განჩინება N01.72.12.003.396 მხოლოდ საკადასტრო ერთეულის ნაწილში.

№12-032416684-03 14.06.2024 (სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე ცვლილება);

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ (დანართი №2) 72-ე მუხლის მე-3 პუნქტში და ემატება შემდეგი შინაარსის „პ 1“ ქვეპუნქტი: „პ 1. სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება, სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიზნით.“

№12-032419236-03- 10.07.2024 (ვარკეთილის მასივის არეალზე ცვლილება)

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი 1.11-ით, ვარკეთილის მასივში განსაზღვრულ „B1“ არეალზე სამშენებლო განვითარება ხდება განსაკუთრებული პირობების დაცვით. ვინაიდან, აღნიშნული არეალის განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვარკეთილის მასივის ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პროგრამით მიმდინარეობს ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება, “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული წესი ითვალისწინებს ავარიული სახლების ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებას, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (მათ შორის, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცებას. წარმოდგენილი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების მიზანია, აღნიშნულ არეალში მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისას თანაბარი პირობების შექმნას, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ისე კერძო პირთა/ინვესტორთა ინიციატივების არსებობისას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი ითვალისწინებს ავტოსადგომების რაოდენობისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან გათავისუფლებას, კერძო პირთა/ ინვესტორთა მიერ მიწის ნაკვეთების

სამშენებლო განვითარების დროსაც დასაშვებია მოხდეს აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება. ამასთან, აღნიშნული განხორციელება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა და თანაბარი პირობების შექმნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ (დანართი №2) 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი რედაქციით „დ 1“ ქვეპუნქტი: „დ 1. არეალის სამშენებლო განვითარებისას, ხელშემწყობი ღონისძიების სახით შესაძლებელია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების წესებით ავტოსადგომების რაოდენობისთვის დადგენილი რეგულირებისგან გათავისუფლება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.“

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

13. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032416683-03 14.06.2024; 12-032419237-03- 10.07.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

(№12-032416683-03 14.06.2024) ვინაიდან, შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებულ მიწის ნაკვეთების განვითარება ხდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი განსაკუთრებული პირობების შესაბამისად, საჭირო გახდა საგამონაკლისო წესის გავრცელება, რის შესაბამისადაც აღნიშნული მიწის ნაკვეთები გათავისუფლებული იქნება ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებისგან. ამასთან, პრაქტიკაში გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მაკომპენსირებელი ღონისძიებების დაწესება, იმ ობიექტებისთვის, სადაც მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განსათავსებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების ამოქმედებამდე გადამეტებულია კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებელი და დაყენებულია მოთხოვნა მრავალბინიან საცხოვრებელ შენობა-ნაგებობად ცვლილებასთან დაკავშირებით. განაშენიანების რეგულირების წესის თანახმად, 2020 წლის 1 იანვრიდან განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამოჯნულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა დაუშვებელია. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის საჭიროება გამოიწვია საზიარო უფლების გაუქმების (ნატურით გაყოფის) თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობამ, რის შესაბამისადაც ცვლილება შედის განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლში, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით. 39 3 მუხლის მე-5 პუნქტის დაზუსტება ასევე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ფუნქციური ზონის რეგლამენტის შესაბამისად შეზღუდულია სართულების რაოდენობა 5 სართულამდე. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი

ლონისძიებების გამოყენებისას კი სიმაღლის რეგულაციებისგან განთავისუფლებასთან ერთად უნდა მოხდეს სართულიანობის რეგლამენტისგან გათავისუფლებაც, დაწესებული ღონისძიების ეფექტურად განსახორციელებლად. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა. განაშენიანების რეგულირების წესის 16 3 მუხლის მე-11 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი: „ი) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებულ მიწის ნაკვეთებზე.“ წესის 16 3 მუხლის შემდგომ ემატება 16 4 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მაკომპენსირებელი ღონისძიებების დაწესებას იმ ობიექტებისთვის, სადაც მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განსათავსებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების ამოქმედებამდე გადამეტებულია კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებელი და ამჟამად მოთხოვნილია ფუნქციური დანიშნულების - მრავალბინიან საცხოვრებელ შენობა-ნაგებობად ცვლილება. წესის 24-ე მუხლის 7 1 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსი 7 2 პუნქტი: „7 2. მე-7 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება იმ განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამოიწვეულ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა გამოიწვევა განხორციელებულია საზიარო უფლების გაუქმების (ნატურით გაყოფის) თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე (გარდა მხარეთა მორიგებისა) და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება მოთხოვნილია მხოლოდ არსებული შენობა - ნაგებობის რეკონსტრუქციის მიზნით, არსებულ გაბარიტებში, შეუსაბამობის არსებული ხარისხის გაზრდის გარეშე.“ წესის 39 3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებელი გადამეტებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადამეტებულ ფართზე არ გავრცელდეს ამ წესით გათვალისწინებული სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები.“

(№12-032419237-03- 10.07.2024) განაშენიანების რეგულირების წესების 16 3 მუხლის შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში საჭიროა მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტომ. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესების 16 3 მუხლის მე-6 პუნქტში. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა. განაშენიანების რეგულირების წესების 16 3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: "6. ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით გათვალისწინებული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო. ზემოაღნიშნული ფასის გადახდასთან დაკავშირებით კი - ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო."

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032416688-03 14.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმეშ. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-7 დადგენილებით დამტკიცებულის წესის მე-5 მუხლის 4 1 ; 4 2 ; 4 3 ; 4 4 პუნქტებში, რაც გულისხმობს განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის განხილვის ვადებისა და შესაბამისი ფასების ცვლილებას. კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებულ წესს ემატება 45-დღიანი და 60-დღიანი დაჩქარებული მომსახურების განხილვის ვადები. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

15. ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.18.678; №81.02.18.632; №81.02.18.295; №81.02.18.688; №81.02.18.088) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0324166212-03 14.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიმეშ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.18.678; №81.02.18.632; №81.02.18.295; №81.02.18.688; №81.02.18.088) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 14 549 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობია 11 309 კვ.მ, ხოლო, დაურეგისტრირებული ტერიტორიის - 3 240 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიული ზონა ზონაში (პზ). საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ტაბახმელა, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.678; N81.02.18.632; N81.02.18.295; N81.02.18.688; N81.02.18.088) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №534 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. შემოთავაზებული წინადადებით ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი უბნის დაგეგმარება. საპროექტო ტერიტორიის გამოეკვანა დაგეგმილია 14 მიწის ნაკვეთად. აქედან, კერძო საკუთრებაში არსებული 5 მიწის ნაკვეთი გაიშოვნება 12 ნაკვეთად (ფართობი: 10795 კვ.მ.), შენარჩუნდება მოქმედი ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და თითოეულ მიწის ნაკვეთზე განთავსდება ერთი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ხოლო, დაურეგისტრირებელი ტერიტორია გადაგეგმარდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (ფართობი: 3754 კვ.მ.) და მასზე გავრცელდება ფუნქციური ზონა - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან, საკვლევი არეალი წარმოადგენს განაშენიანებულ ტერიტორიას და საპროექტო ტერიტორია მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად მოქცეულია განაშენიანების კონტურში, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთების მინიმალურ ფართობად განისაზღვრა 474 კვ.მ; მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის საერთო ფართობი - 14 549 კვ.მ; საპროექტო მიწის ნაკვეთის რაოდენობა - 14 ნაკვეთი; 12 კერძო ნაკვეთი; 2 გზისთვის განკუთვნილი ნაკვეთი; შენობების რაოდენობა - 12 შენობა; სართულების მაქსიმალური რაოდენობა - 3 სართული; დასაშვები სიმაღლე - მაქსიმუმ 12 მეტრი; საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - ფართობი: 10 795 კვ.მ; კ-1 = 0,5 კ-2 = 0,8 კ-3 = 0,4 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - ფართობი: 3 754 კვ.მ; აქედან დაურეგისტრირებელი ტერიტორია - 3 240 კვ.მ; კერძო საკუთრება - 514 კვ.მ; კ-1 = - კ-2 = - კ-3 = 0,1 (392 კვ.მ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 2 მაისის N01241234560 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 11 ივნისის N01241633348 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

16. ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.952; N72.16.21.076; N72.16.21.789; N01.72.16.094.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს N12-032418484-03 02.07.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ 4 მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.952; №72.16.21.076; №72.16.21.789; №01.72.16.094.005- ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 12 879 კვ.მ-ს, აქედან, კერძო საკუთრებაში არსებული №72.16.17.952; №72.16.21.076 საკადასტრო ერთეულების ჯამური ფართობია 6 335 კვ.მ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ №72.16.21.789 (სრულად) - 4 384 კვ.მ, ს/კ №01.72.16.094.005-ის (ნაწილი) - 141 კვ.მ, დაურეგისტრირებელი ტერიტორია - 2 019 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ) და ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე გაშვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრეაციო ზონა (რზ). საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.952; №72.16.21.076; №72.16.21.789; №01.72.16.094.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №152 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. შემოთავაზებული წინადადებით საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია სარეკრეაციო ზონა 3-ითა (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ტერიტორია დაყოფილია 10 მიწის ნაკვეთად, 9 ნაკვეთი არის სამშენებლო, რომლებზეც გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მათზე განთავსდება ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლები. ხოლო, N10 ნაკვეთი წარმოადგენს საავტომობილო გზას, შესაბამისად, მასზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით №01.72.16.094.005 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე დაგეგმილია საავტომობილო გზის მოწყობა. საავტომობილო გზისთვის ს/კ №72.16.21.789-ს აკლდება 189 კვ.მ. ამასთან, საპროექტო წინადადებით დაგეგმილია კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილების ადგილმონაცვლეობა, კერძოდ, აღნიშნულთან დაკავშირებით დაფიქსირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დადებითი პოზიცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 27 ივნისის N61-01241792932 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული რეგისტრირებული და დაურეგისტრირებული მიწის ნაკვეთები მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2024 წლის 25 ივნისის N01241773567-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად იმ პირობით, რომ დაინტერესებული მხარის მიერ, მოხდება 165კვ.მ მიწის ნაკვეთის კანონით დადგენილი წესით შესყიდვა. ასევე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი არსებული ასფალტირებული გზის შენარჩუნების მიზნით, ლევან ვაჩიიშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (სკ.72.16.21.076) ნაწილი, 835კვ.მ გადავიდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 72.16.21.789 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის 835კვ.მ სანაცვლოდ; მოხდეს 165კვ.მ მიწის ნაკვეთის კანონით დადგენილი წესით განკარგვა,

შემდგომში ადგილმონაცვლებულ 835კვ.მ მიწის ნაკვეთთან გაერთიანების მიზნით, რათა საბოლოოდ სექტორის ფართობმა შეადგინოს 1000კვ.მ; 72.16.21.789 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილი, გაიყოს სამ სამშენებლო მიწის ნაკვეთად (თითო 1065კვ.მ), ხოლო 189კვ.მ მიწის ნაკვეთი, გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. დაურეგისტრირებელ სივრცეს, ადგილმონაცვლებულ 835კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 01.72.16.094.005 და 72.16.21.789 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან გამოყოფილ 141კვ.მ და 189კვ.მ მიწის ნაკვეთებზე, გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მიწის ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთი - N1 - კერძო საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1000 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1000 კვ.მ. კ-3= 0,7 - 700 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N2 - კერძო საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1000 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1000 კვ.მ. კ-3= 0,7 - 700 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N3 - კერძო საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1167 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1167 კვ.მ. კ-3= 0,7 - 816,9 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N4 - კერძო საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1166 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1166 კვ.მ. კ-3= 0,7 - 816,2 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N5 - კერძო საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1167 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1167 კვ.მ. კ-3= 0,7 - 816,9 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N6 - კერძო საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1000 კვ.მ. 835 კვ.მ. - ადგილმონაცვლებული კერძო საკუთრება 165 კვ.მ. - საპრივატიზაციო/შესაძლებელი ტერიტორია 61-01241792932 წერილის შესაბამისად. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1000 კვ.მ. კ-3= 0,7 - 700 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N7 - მუნიციპალური საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1065 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1165 კვ.მ. კ-3= 0,7 - 815,5 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N8 - მუნიციპალური საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1065 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1165 კვ.მ. კ-3= 0,7 - 815,5 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N9 - მუნიციპალური საკუთრება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) - 1065 კვ.მ. კ-1= 0,3 - 349 კვ.მ. კ-2= 1,0 - 1165 კვ.მ. კ-3= 0,7 - 815,5 კვ.მ. ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული მიწის ნაკვეთი - N10 - მუნიციპალური საკუთრება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 3184 კვ.მ. კ-1= - კ-2= - კ-3= 0,2 - 636,8 კვ.მ. საავტომობილო გზა არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ქალაქგეგმარებით „A“ არეალში, დაცული უნდა იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-

4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განვითარების რეგლამენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 27 ივნისის N012417983 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2024 წლის 26 ივნისის N0124180504 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

17. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის №64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: № 01.12.01.005.129-ის ნაწილზე; № 01.12.01.005.051; № 01.12.01.005.091; ნაკვეთი: № 5/50, № 5/51, № 005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032416682-03 14.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.01.005.627; 01.12.01.005.625; 01.12.01.005.628). განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჯამური ფართობი - არსებული: 25 541,0 კვ.მ.; კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჯამური ფართობი: 18 992,0 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირის N64-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N 01.12.01.005.129-ის ნაწილზე; N 01.12.01.005.051; N 01.12.01.005.091; ნაკვეთი: N 5/50, N 5/51, N 005/056) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N142 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის ბოლო კორექტირებაც განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N451 განკარგულებით. წარმოდგენილი წინადადებით ხდება საპროექტო არეალის შემცირება, შესაბამისად, შემცირდა სამშენებლო მოცულობა 118 510 კვ.მ-დან 87 363,2 კვ.მ.-მდე. საპროექტო არეალი შემცირდა 25 541 კვ.მ.-დან 18 992 კვ.მ.-მდე. იცვლება შენობა-ნაგებობის განთავსება, ემატება 1 ავტოსადგომის შენობა და ჩამოყალიბებულ 2 სექტორზე განთავსდება 2-2 შენობა. ერთი ძირითადი საცხოვრებელი ბლოკი და მეორე ავტოსადგომის სივრცე, ცვლილება ეხება ასევე სართულიანობას და ძირითადი შენობა-ნაგებობები 25 და 26 სართულის ნაცვლად ხდება 27 სართულს +1 ტექნიკური სართული. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში შეცვლილი ფართობიდან გამოკლებული

არეალი დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, კონფიგურაციისა და ფუნქციური ზონირების გათვალისწინებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 16 1 მუხლის შესაბამისად, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით. ფუნქციური გადაანაწილება: 1. სექტორი - 89%- საცხოვრებელი; 11%- კომერციული. 2. სექტორი - 90%- საცხოვრებელი; 10% - კომერციული. ვინაიდან, ხდება დადგენილი საცხოვრებელი ფუნქციური დანიშნულების ცვლილება #1 და #2 სექტორებში, აღნიშნულის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრა 511,7 კვ.მ. ფართის ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილების ფარგლებში არ ხდება ზონის ცვლილება და ნარჩუნდება ტერიტორიაზე გასაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის ჯამური ფართობი : 18 992,0 კვ.მ. წარმოდგენილი კორექტირებით განსაზღვრული ქალაქგეგმარებითი პარამეტრები: სექტორი #1 და სექტორი #2 კ1-0,5 კ2-4,6 (87363,2 კვ.მ.) კ3-0,3 სართულიანობა: 27 სართულს +1 ტექნიკური სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის N01241643744 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 13 ივნისის N0124165237 წერილის შესაბამისად, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

18. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.01.004.314; №01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის №60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032416689-03 14.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.321; N01.18.01.004.322; N01.18.01.004.323; N01.18.01.004.320; N01.18.01.004.325; N01.18.01.004.326; N01.18.01.004.318; N01.18.01.004.319; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 25 416 კვ.მ. აქედან, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 24 182 კვ.მ, მუნიციპალიტეტის საკუთრება- 1052 კვ.მ, დაურეგისტრირებული ტერიტორია - 182 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ტერიტორიულ - სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ). ტერიტორიაზე ვრცელდება მაღალი გეოლოგიური საფრთხის ზონირება. ასევე, ტერიტორიაზე ვრცელდება სეზონური მდინარის შეზღუდვის არეალი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 12/1-1165 - 18.08.2022 წერილის საფუძველზე, საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება შესაბამისი ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობის მოწყობა და ორივე მხრალ ხევში ფორმირებული წყლის განტვირთვა მოხდება კოლექტორით ან წყალსარნით. გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, გასათვალისწინებელია რომ ტერიტორიის პერსპექტიული განაშენიანებისას, უზენალექიანობის პერიოდში, არსებულ ხევებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას წყლის ნაკადების უსაფრთხო გატარება; საკვლევი ტერიტორიის პერსპექტიული განაშენიანების პროექტის შედგენისას, დამრეცი და ციგაზო ფერდობის არეალში. საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N60 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონები და პარამეტრები: საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) - ნაკვ. (N1;2;3;4;5;8) 21 213 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5 განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=1,5 გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,3 მაქს. სართულიანობა: 5 სართული; მაქს. სიმაღლე: 15მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - ნაკვ. 6;7;9 და დაურეგისტრირებული 4 203 კვ.მ. გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,1; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N192 განკარგულებით შეთანხმდა ხელშეწყობი ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე- ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, რომლის მიხედვითაც: ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის

(კ-2) გადამეტება: N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე; N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ. - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ. - კ2=1.4-დან კ2=1.6-მდე; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N192 განკარგულებით შეთანხმებული ხელშეწყობი ღონისძიებების საფუძველზე, N01241431463-67 (N01241563269-67) განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების ფარგლებში ხორციელდება შენობა-ნაგებობებზე 1 სართულის დამატება, დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტთან მიმართებით ხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზრდა ჯამურად 32,762 კვ.მ-დან 39 489 კვ.მ-მდე (6727 კვ.მ-ით), ხოლო, თითოეული სექტორისათვის შემდეგი სახით: •პირველი სექტორი: ს/კ N01.18.01.004.321; ფართობი 2739 კვ.მ. კ-2 კოეფიციენტი იზრდება 1.5-დან (4230კვ.მ) 1.9-მდე (5325კვ.მ). •მეორე სექტორი: ს/კ N01.18.01.004.322; ფართობი 3435 კვ.მ. კ-2 კოეფიციენტი იზრდება 1.5-დან (5305კვ.მ) 1.8-მდე (6335კვ.მ). •მესამე სექტორი: ს/კ N01.18.01.004.323; ფართობი 3435 კვ.მ. კ2 კოეფიციენტი იზრდება 1.5-დან (5305კვ.მ) 1.9-მდე (6679კვ.მ). •მეოთხე სექტორი: ს/კ N01.18.01.004.325; ფართობი 5010 კვ.მ. კ2 კოეფიციენტი იზრდება 1.5-დან (7738კვ.მ) 1.8-მდე (9240კვ.მ). •მეხუთე სექტორი: ს/კ N01.18.01.004.326; ფართობი 5335 კვ.მ. კ2 კოეფიციენტი იზრდება 1.5-დან (8240კვ.მ) 1.8-მდე (9840კვ.მ). •მერვე სექტორი: ს/კ N01.18.01.004.318; ფართობი 1259კვ.მ. კ2 კოეფიციენტი იზრდება 1.4-დან (1944კვ.მ) 1.6-მდე (2070კვ.მ). ფუნქციური გამოყენებები - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) - ნაკვ. (N1;2;3;4;5;8) 21 213 კვ.მ. მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 9 (სამშენებლო-6 ნაკვეთი; გზა- 3 ნაკვეთი) შენობა-ნაგებობის სართულიანობა/სიმაღლე - მაქსიმუმ 6 სართული / მაქსიმალური სიმაღლით 21 მ. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

19. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლისა და გულიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური- საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032418489-03 02.07.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტბემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N 30დ; ქალაქი თბილისი, დიმიტრი გულიას ქუჩა, N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:

